# მუნიციპალიტეტის მაცნე

საგარეჯო

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №23(37) 2012 წ. 1-15 დეკემბერი ფასი 50 თეთრი


## დანიშვნა

### საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

### ცისმარ თედიაშვილი



დაიბადა 1978 წელს

1996-2001 წლებში სწავლობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა პროგრამისტის, მათემატიკისა და ინფორმატიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

2000-2001 წლებში მუშაობდა კომპიუტერის შემსწავლელ ცენტრ „გამა“-ში პროგრამების შემსწავლელი კურსების პედაგოგად.

2002-2004 წლებში საგარეჯოს მრავალდარგოვანი კოლეჯის „გოცი“-ს კომპიუტერული ცენტრის ხელმძღვანელია.

2002-2008 წლებში საგარეჯოს პოლიტექნიკური კოლეჯის ინფორმატიკის პედაგოგია.

2004-2008 წლებში საგარეჯოს პროფესიული სასწავლებლის ინფორმატიკის პედაგოგია.

2006-2007 წლებში საგარეჯოს II საჯარო სკოლის საინფორმაციო მენეჯერია.

2007-2009 წლებში საპროექტო ფირმა „მოდულის“ პროექტების აწყობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტია.

2009-2010 წლებში გლობალური ბიზნესის განვითარების ცენტრის პროექტის კოორდინატორია.

2010 წლიდან 2012 წლის 5 დეკემბრამდე მუშაობდა შპს „სიგულდა“-ში ვიდეო სტუდიის მთავარ მემონტაჟედ.

2012 წლის 5 დეკემბრიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეა.

დასაოჯახებელია.

### საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის შეხვედრა სტიქიისაგან დაზარალებულ მოსახლეობასთან

## „დახმარებები დროულად უნდა გაიცეს“...

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი კახეთის რეგიონში სტიქიით დაზარალებულ იმ მუნიციპალიტეტებს შორისაა, რომელთა მოსახლეობას საქართველოს მთავრობამ და ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიაქციოს. სტიქიისგან ჩვენი მინიციპალიტეტის მთელი რიგი სოფლების მოსახლეობას 100, 70, 50 პროცენტით გაუნადგურდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მოყვანილი პროდუქტები. მათგან ზოგიერთ სოფლებში ჯერ კიდევ არჩევნებამდე გაიცა მნიშვნელოვანი დახმარებები – ფულადი კომპენსაცია, კვების პროდუქტები, სტიქიით დაზიანებულ სახლებს გადაეხურა სახურავი. მაგრამ, დარჩა მთელი რიგი მოსახლეობის ნაწილი, რომლებიც ან ვერ მოხვდნენ სტიქიით დაზარალებულთა სიებში, ან სრულად ვერ აუნაზღაურდათ ზარალი. თუმცა, სოფელში შექმნილი ჯგუფები, რომლებიც თვეებია ითვლიან და ამოწმებენ მოსახლეობისათვის მიყენებულ ზიანის ხარისხსა და დახმარების კატეგორიას, დღესაც მრავალი პრობლემის წინაშე დგანან.

სწორედ ამ პრობლემატური საკითხების განსახილველად სამუშაო ჯგუფებთან და დაზარალებული მოსახლეობის წარმომადგენლებთან ჰქონდათ შეხვედრა 11 დეკემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს **თენგიზ შერგელაშვილს**, ამავე სამინისტროს წამყვან სპეციალისტებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი ლოლაძეს**, მის მოადგილეებს **ბესიკ მარტიაშვილსა და ცისმარ თედიაშვილს.**

როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ საუბარში აღნიშნა, დახმარებები დროულად უნდა გაიცეს, მანამდე კი ასევე დროულად უნდა მოხდეს იმ ზარალისა და ზიანის აღნუსხვა-გადამოწმება, რაც ზაფხულის პერიოდში მოსახლეობას ქარიშხალმა და სეტყვამ მიაყენა. როგორც თათბირზე ითქვა, უპირველეს ეს ყოვლისა უნდა გადაიხუროს დაზიანებული სახლების სახურავები, შემდეგ კი გაიცეს დახმარებები მათზე, ვისაც სოფლის მეურნეობის პროდუქტი გაუნადგურა სტიქიამ. სულ ასეთი დაზარალებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 23 ათასი ოჯახია.

დასასრულ, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა შეხვედრის მონაწილეთა მხრიდან დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

## მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

### 4 დეკემბერი, 2012 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ტრადიციულ თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი ლოლაძე** უძღვებოდა.

თათბირზე სოფლების რწმუნებულებიდან მოსმენილ იქნა ზეპირი ინფორმაციები სოფლებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. როგორც გაირკვა, კვლავ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდება, რაც გამოწვეულია რიგ შემთხვევაში წყლის დეფიციტის ნაკლებობითაც. მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელში ასევე მოუგვარებელ პრობლემას წარმოადგენს ელექტროგადამცემი ხაზები და მათი საყრდენი – უკვე ამორტიზებული ბოძები, ასევე ტრანსფორმატორები.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ლოლაძემ აღნიშნა, მომავალი სამშაბათის თათბირზე მოიწვევენ სააქციო საზოგადოება „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საგარეჯოს სერვის ცენტრის წარმომადგენელს, რომელიც თათბირზე დასმულ შეკითხვებსაც უპასუხებს და ერთად დასახავენ დღეს არსებული მდგომარეობის გამოსწორების გზებს.

### 11 დეკემბერი, 2012 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის თათბირს ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების რწმუნებულები, გამგეობის სამსახურების უფროსები. თათბირს უძღვებოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **ბესიკ მარტიაშვილი**.

თათბირზე მოწვეული იყვნენ სააქციო საზოგადოება „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საგარეჯოს სერვის ცენტრის დირექტორი ირაკლი ხვიჩია და ამავე სერვის ცენტრის ექსპლოატაციის სამსახურის უფროსი ვანო ყანდინაშვილი.

თათბირზე სოფლის რწმუნებულთაგან დაყენებულ საკითხებს პასუხი გასცეს სერვის ცენტრის ხელმძღვანელმა პირებმა. აქვე დასახულ იქნა ღონისძიებები თათბრზე დაყენებული პრობლემების ურთიერთთანამშრომლობითა და ეტაპობრივად მოგვარებისათვის.

## დანიშვნა

### საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

### ბესიკ მარტიაშვილი



დაიბადა 1984 წელს.

სწავლობდა დიდი ჩაილურის, საგარეჯოს IV და II საშუალო სკოლებში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იმავე 2001 წელს სწავლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც 2006 წელს დაამთავრა სპეციალობით – სამართალმცოდნეობის მაგისტრი. სხვადასხვა დროს იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების იურისტი, დამფუძნებელ-დირექტორი .

2012 წლის 5 დეკემბრიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეა.

ჰყავს მეუღლე – ნინო თედიაშვილი და 6 წლის შვილი.

№23(37) 2012 წელი, 1-15 დეკემბერი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომას ესწრებოდა ამავე საკრებულოს 25 დეპუტატი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, მისი მოადგილეები: ბესიკ მარტიაშვილი და გოჩა ჩერქეზიშვილი. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ილია ჭიაურელმა გააცნო. სხდომაზე რეგისტრაციაში გატარდა და დაფუძნდა საკრებულოს ფრაქცია „იმედი“ და „დემოკრატები“.

საკითხზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებვების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსმა ნინო ქურხულმა.***

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა

საქართველოს კანონის ნორმატიული აქტების შესახებ” მე–20 –ე მუხლის საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტში,ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 13373.3 ათასი ლარის ოდენობით;

შეტანილია ცვლილება საშემოსავლო ნაწილში, კერძოდ გაიზარდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი –0,4 ათასი ლარით; შემცირდა ჯარიმები,სანქციები და საურავები –0,4 ათასი ლარით; საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადი 4 ათასი ლარით; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 9,81 ათასი ლარით;

შეტანილია ცვლილებები გადასახდელების ნაწილში:

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში იორმუღალნოს ტერიტორიული ორგანოსათვის გათვალისწინებული ხარჯებიდან გზების მშენებლობის და ექსპლოატაციის ხარჯები შემცირდა 34719 ლარით და გადატანილია ქეშალოში წყლის ჭაბურღილის ბურღვის სამუშაოების დასაფინანსებლად ;

სოფ. პატარძეულის წყალმომარაგების ღონისძიებაზე გათვალისწინებული თანხა 10155 ათასი ლარი და გზების რეაბილიტაციის და ექსპლოატაციისათვის გათვალისწინებული თანხა 4748 ლარით და გადატანილია გიორგი ლეონიძის სახელობის მუზეუმის რემონტისათვის 2055 ლარი და წმინდა ნინოს ეკლესიის შენობის გადასახურავად 12848 ლარი

შემცირდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მივლინების თანხა 3 ათასი ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯები 4 ათასი ლარით, ოფისის ხარჯი 5,3 ათასი ლარით,ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯი 5 ათასი ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 2,5 ათასი ლარით; გაიზარდა შრომის ანაზღაურების ფონდი 23,26 ათასი ლარით; შტატგარეშე მუშაკთა ხელფასი 4 ათასი ლარით;

შემცირდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შტატგარეშე მუშაკთა ხელფასი 6,6 ათასი ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯები 13,74 ათასი ლარით; ტრანსპორტის შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯი 17,93 ათასი ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 17,31 ათასი ლარით; გაიზარდა შრომის ანაზრაურების ფონდი 38,455 ათასი ლარით; მივლინების ხარჯი 0,2 ათასი ლარით; ოფისის ხარჯი 0,28 ათასი ლარით;

შემცირდა კომპიუტერული და მონაცემთა ბაზის დამუშავები და მომსახურების ხარჯი 0,2 ათასი ლარით;

შემცირადა სახანძრო და სამაშველო სამსახურის დაფინანსება 13,285 ათასი ლარით, მათ შორის შემცირდა მივლინება 0,9 ათასი ლარი,ოფისის ხარჯი 8 ,8 ათასი ლარით; ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯი 8,285 ათასი ლარით; სხვა საქონელი და მომსახურეობა 6 ათასი ლარით; გაიზარდა შრომის ანაზღაურების ფონდი 10,7 ათასი ლარით;

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯი გაიზარდა 2,91 ათასი ლარით; მათ შორის შრომის ანაზღაურების ფონდი 2,56 ათასი ლარით; მივლინება 0,35 ათასი ლარით;

საავტომობილო გზების მშენებლობის და ექსპლოატაციის ხარჯების არაფინანსური აქტივების მუხლიდან 6,623 ათასი ლარი გადატანილი სხვა საქონელი და მომსახურეობაში; შემცირდა კეთილმოწყობის ხარჯი 50 ათასი ლარით; სასოფლო–სამეურნეო მიწის აგეგმვითი სამუშაოების ხარჯი 4 ათასი ლარით,; დასუფთავების ხარჯი 12,6 ათასი ლარით; გარე განათების ექსპლოატაციის ხარჯი 8, ათასი ლარით; სახელოვნებო სკოლის დაფინანსება 2,4 ათასი ლარით; ახალგაზრდულ ღონისძიებათა ხარჯები 12 ათასი ლარით; გაიზარდა წყალმომარაგების ღონისძიების ხარჯი 25 ათასი ლარით; ხევების გაწმენდა გამაგრების სამუშაოებზე (საწვავის შესაძენად) 6 ათასი ლარით; სოფლის ამბულატორიების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 2,5 ათასი ლარით; გაიზარდა სოფლის ამბულატორიების დაფინანსება 0, 240 ათასი ლარით; სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ბინის ქირით უზრუნველყოფა 3,35 ათასი ლარით; უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარება 51,597 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი შემცირდა 7,027 ათასი ლარით და გადატანილია წყალმომარაგების ხარჯების გაუმჯობესებაში (კახეთის გზატკეცილის № 13 და 15 კორპუსებთან წყალსადენის მოწყობაზე და სოფლებში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ღვინის ტრანსპორტირებაზე 3287 ლარი;

აიპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო–სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების სუბსიდიის ხარჯი შემცირდა 11,1 ათასი ლარით და გადატანილია 1 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში, 10,1 ათასი ლარი აიპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულების სუბსიდიაში; შემცირდეს აიპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის დაფინანსება 14 ათასი ლარით, დაემატოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სკოლამდელი დაწესებულებისათვის დაგეგმილ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს, ხაშმის საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციისათვის

აიპ კულტურის ობიექტების გაერთიანების სუბსიდიიდან 0,610 ათასი ლარი გადატანილია არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში გიორგი ლეონიძის სახელობის მუზეუმისათვის კომპიუტერის შესაძენად

გაიზარდა აიპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების დაფინანსება 7 ათასი ათასი ლარით.

სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, რომლის შესახებაც მოხსენება საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ზურა ქურთიშვილმა** გააკეთა.

საკრებულოს სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც, რომელთა გარშემოც ღრმად და საფუძვლიანად იმსჯელეს დეპუტატებმა და ყოველ განხილულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში

# ყოველ ორშაბათ დღეს

თვის ყოველ ორშაბათს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მისაღებში ხალხმრავლობაა – ეს დღე მთლიანად მოქალაქეთა მიღებას ეთმობა. ამ დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელი პირები ასზე მეტ მოქალაქეს უსმენენ, ითვალისწინებენ მათ გაჭირვებას და დასახმარებლად იღებენ გადაწყვეტილებებს.

**სურათზე**: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, გამგებლის მოადგილე ბესიკ მარტიაშვილი და გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსი ძაგული მათიაშვილი მოქალაქეთა მიღებაზე.

**სურათზე:** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტი, რეფერენტი ნატო გილაშვილი მიღების წინ ესაუბრება მოქალაქეებს (ზემოთ).

გარეჯის მაცნე



# საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

## სოფელი

# პატარძეული

### ისტორიული წარსული

პატარძეული გარეკახეთის ერთ-ერთი უძველესი და დიდი ისტორიის მატარებელი სოფელია, ხოლო მისი დღევანდელი სახელწოდება ქართულ-ისტორიოგრაფიული წყაროების მიხედვით XIII-XIV საუკუნეებიდან მომდინარეობს და დაფუძნებულია ერთი ცნობილი ლეგენდის გამო – ამ გმირი სოფლის პატრიოტ ქალებს, უმეტესწილად ახალგაზრდა მანდილოსნებს, მონღოლთა წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლით განადგურებისგან უხსნიათ მთელი გარე-კახეთი და ამ გმირული ბრძოლის აღსანიშნავად, მაშინდელი აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს, დიმიტრი თავდადებულის უფროსი ვაჟიშვილის – მეფე დავით მერვის ბრძანებულებით პატარძლეული შეურქმევიათ, შემდეგში ამ სახელწოდებიდან ერთი ასო – ლ ამოუგდიათ და გამარტივებულად პატარძეული უწოდებიათ. თუ თვალს გადავავლებთ ისტორიულ-არქეოლოგიურ მონაცემებს, დავინახავთ, რომ ისტორიული პატარძეული უფრო ვრცელ გეოგრაფიულ სივრცეში იყო განფენილი და სოფელი მრავლობით კონტექსტში იყო ცნობილი.

გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს მეტად ნიშანდობლივი მოსაზრებები გააჩნია პატარძეულის სივრცობრივი შემოგარენის შესახებ. მან 1953 წლის ივნისში ჩატარებული არქეოლოგიური თვალსაზრისით, დაზვერვითი სამუშაოების დროს მოინახულა როგორც თანამედროვე პატარძეულის, ისე მისი მიმდებარე მინდვრები და ტყეები, სადაც აღმოაჩინა უამრავი ნასოფლარ-ნასახლარები, არქეოლოგიური ნაშთები და დაასკვნა, რომ ოდესღაც ეს საუკეთესო ადგილები ახლა ფოთლოვანი ტყეებითა და ჯაგნარით დაფარული, ხალხმრავალი დასახლებებით იყო დამშვენებული.

ისტორიული პატარძეული საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელ, მოციქულთა სწორ წმიდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის დროს აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ფერხულში იყო ჩართული ნინოწმინდასთან ერთად და მისი მოსახლეობა შეგნებულად გაქრისტიანდა.

პატარძეული ადრეფეოდალური ეპოქიდან წარმოადგენდა საკმაოდ განვითარებულ, ქალაქის ტიპის დასახლებას, რომელიც განფენილი იყო დაახლოებით 30 კმ-ის რადიუსის ფართობზე, იწყებოდა „ნაქალაქარიდან“, მოიცავდა ახლანდელ ტოპონიმებს: „ჟატს“, „გულასახვევს“, „ვეძას“, „ნაჯოგრებს“, „გვალველს“, „თოხლა მთას“, „ძნელაანს“, „საკირის ხევს“, „ლალიანთ გორას“, „მჭედლიაურს“, „ალვის ხეებს“, „ბასილაანთ ველებს“, „ბერთუბანს“, „სათვალეს“, „კოტმანს“, „ქვითკირის წყაროს“ და რაც მთავარია, თანამედროვე სოფელ პატარძეულის დასახლებას.

აღნიშნულ ტოპონიმებზე ქართული ტომების სოჯების, კუხებისა და ჰერების წარმომადგენლებს უცხოვრიათ, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში უწყვეტი, პერმანენტული, აგრესიული შემოსევების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა ფიზიკურად ისპობოდა, ხოლო მშვიდობიანობის ჩამოვარდნისთანავე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მიგრაციული პროცესების შედეგად ივსებოდა სულ სხვა ქართველი ტომების წარმომადგენლებით და ამის გამო იცვლებოდა ტოპონიმთა სახელები და ხალხთა ტრადიციები.

მიუხედავად ამისა, პატარძეული ყოველთვის ქართველი მეფეების პირადი საკუთრება იყო და სოფელს სხვა მებატონე, გარდა სამეფო კარისა, არ ჰყოლია. რაც შეეხება სამონასტრო ყმებს, ისინი მეფეების მიერ შეწირულნი იყვნენ დავით გარეჯის მონასტრებისათვის, ამიტომ სოფელში ტრადიციად იყო ქცეული – პატარძეულის მცხოვრებნი ყოველთვის იყვნენ თავისუფლების მოყვარულნი, ამაყნი, რაინდული სულისკვეთების მქონე მებრძოლები, რომლებიც უსამართლოდ არავის დაეჩაგვრინებოდნენ და არც არავის დაჩაგრავდნენ.

პატარძეულს არაერთხელ უგემია მტრის მსახვრალი ხელი, ვის აღარ უბატონია აქ: სპარსელებს, არაბებს, მონღოლებს, თურქ-ოსმალებს, მაგრამ ხალხის ხსოვნას ნათლად შემორჩა მურვან ყრუს, თემურ ლენგის, შაჰ-აბას I მძიმე ხელი. მაგრამ, ყველაზე მტკივნეული და დასამახსოვრებელი იყო სპარსელ ყიზილბაშთა 1614-1616 წლების შემოსევები და მთელი სოფლების ირანში გადასახლება. მაგრამ, სოფელი პატარძეული არ გამქრალა მიწისაგან პირისა. იგი გარკვეული პერიოდის შემდეგ აღდგა და აღორძინდა: მთიულეთიდან – სოფელ ბაზალეთიდან, ქართლიდან – სოფელ არბოდან, ქვემო ქართლიდან, იმერეთიდან და სხვა კუთხე-პროვინციებიდან ჩამოსახლებულმა ქართველებმა ისევ ააღორძინეს ძველქართველთა ნაფუძარი, საძირკვლამდე მორყეული ეკლესია-საყდრები, ციხე-კოშკები, კვლავ აღადგინეს გაკაფული და გაველურებული ბაღ-ვენახები, ხოდაბუნები.

სოფელი პატარძეული ისევ სამეფოსახასო სოფელი იყო და პატარძეულელი ვაჟკაცები ისევ ქართველი მეფეების მეომრები და მოლაშქრეები იყვნენ. აი, თუნდაც მეფე ერეკლე II, რომელიც 1752 წელს ინდოეთის ლაშქრობაში ახლდა ირანის მბრძანებელს ნადირ შაჰს, მარტო პატარძეულიდან მეფეს 4 ვაჟკაცი ახლდა თან: იასე გაბროშვილი, ოთარ ბუტულაშვილი, ივანე ენაგელი და შერმაზან მიქელაშვილი. იმ მძიმე დროს პატარძეულელმა ვაჟკაცებმა არაფრად ჩააგდეს ხიფათით აღსავსე შორი გზა, თავი დასდეს მეფისა და ქვეყნის ბედისათვის, ირანის ძლევამოსილ ლაშქართან ერთად ტრიუმფით შევიდნენ დიდ მოგოლთა იმპერიის დედაქალაქ დელში (შაჰჯანაბადი).

პატარძეულელ ვაჟკაცთა გმირობაზე, მომდევნო საუკუნეებშიც დაფიქსირდა მათი საბრძოლო ეპიზოდები. ლეგენდარულ მეფე-სარდალს ერეკლე მეორეს გვერდში ედგნენ პატარძეულელი ვაჟკაცები, დაღესტნელი მუსრალ ბეგისა და სხვა აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში, ყვარლის ციხის ალყის გარღვევაში. ამიტომაც იყო, რომ, ჯერ თეიმურაზ II, ხოლო შემდეგ მეფე ერეკლე II დიდ ყურადღებას აქცევდა პატარძეულში ციხე-სიმაგრეებისა და სხვა თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობას. XVIII საუკუნის 80-იან წლებში პატარძეულში 3 ციხე-სიმაგრე და 1 გალავანშემორტყმული ეკლესია იყო. არც შემდეგ წლებში, რუსეთის მფარველობაში მყოფი პატარძეულელები იყვნენ გულგრილნი სამშობლოს დასაცავად. როცა საქართველოს 1826 წელს შემოესია ირანის 30000-იანი ლაშქარი პრინც აბას მირზას სარდლობით, პატარძეულელმა ვაჟკაცმა სოლომონ ბუტულაშვილმა შეკრიბა კარგად შეიარაღებული ცხენოსანი ასეული და საარაკო გმირობა ჩაიდინა განჯის მახლობლად სოფელ ფირუზთან გამართულ ბრძოლაში. არც შემდგომ ბრძოლებში ჩაუდენიათ ნაკლები გმირობა პატარძეულელ ვაჟკაცებს რუსეთ-თურქეთის ომებში, ყოფილი ქართული მიწა-წყლის შემოსაერთებლად. თურქეთის ციხე-სიმაგრე ყარსის აღების დროს ციხის თავზე დროშა აღმართა პატარძეულელმა იაკოფ ელერდაშვილმა, რისთვისაც გმირობის აღმნიშვნელი წმ. გიორგის ჯვარი დაიმსახურა. ასევე, რუსეთ-თურქეთის ომებში გმირობის გამოჩენისათვის წმინდა გიორგის ჯვარი დაიმსახურა პატარძეულელმა ზაქარია ფიცხელაურმა, ხოლო რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში თავი ისახელა პატარძეულელმა გენერალმა მიხეილ ფიცხელაურმა.

პატარძეულში მცხოვრები ვაჟკაცები გენერალ ივანე ანდრონიკაშვილის სარდლობით გმირულად იბრძოდნენ 1877-1878 წლებში თურქეთის მონობისაგან აჭარის განთავისუფლებისათვის, რაც აღინიშნა 3 პატარძეულელი მებრძოლის წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვებით.

გარე-კახეთის ისტორიაში პატარძეულმა საგარეჯოსა და ხაშმთან ერთად თავისი სიტყვა თქვა იმ დიდი ტრადიციების აღორძინებასა და განვითარებაში, რაც დავით გარეჯის მონასტრებთან შექმნილმა ლიტერატურულმა, ხელოვნებისა და სულიერი კულტურის წრეებმა შექმნა შუა საუკუნეებში.

პატარძეულში, ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში გახსნილ დაწყებით სკოლაში 1860 წელს პატარძეულელ მოზარდებს მღვდელი ლუკა ბაქრაძე წერა-კითხვას ასწავლიდა, ხოლო 70-იან წლებში მწერალი და საზოგადო მოღვაწე – ზაქარია გულისაშვილი. მომდევნო თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებოდნენ დარეჯან ბილანიშვილი, ნიკო ლეონიძე და ზაქარია ბილანიშვილი, მათ მიერ ანთებული სწავლის ჩირაღდანი გაძლიერდა და უქრობად აქცია გენიალურმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ გოგლა ლეონიძემ.

თუ გოგლა ლეონიძის მოვლენამდე პატარძეულს ქართველი ერი იცნობდა როგორც ძირძველ და ბარაქიან გარეკახეთის სოფლად, ეს სოფელი გოგლა ლეონიძემ მთელ მსოფლიოს გააცნო. მართალია, გოგლა ლეონიძე შესანიშნავი მწერალი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე იყო, მისმა გენიალურმა პოემა-ეპოპეამ („ბავშვობა და ყრმობა“), რომელიც მიძღვნილი იყო იოსებ სტალინის ბავშვობისა და ყრმობის ასაკისადმი, მთელმა მსოფლიომ აღიარა, როგორც დიდი ლიტერატურული ქმნილება და თარგმნილი იყო მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ენებზე.

გარდა გოგლა ლეონიძისა, პატარძეულმა სამშობლოს მისცა ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ დიდი თეატრალები და ხელოვნებათმცოდნეები: საშა ბურთიკაშვილი და ვასო ყუშიტაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსი უსტიაშვილი, ახალგაზრდა პოეტი რომან ზუკაკიშვილი და მწიგნობარი ფილოლოგი შ. გიუნაშვილი, პროფესორი ნინო თათრიშვილი, ცნობილი ჰიდროგეოლოგები, პროფესორი სიმონ ელერდაშვილი და გიორგი ჯიღაური, ცნობილი მწიგნობრები: ნ. უსტიაშვილი და ე. ბილანიშვილი.

პატარძეულმა სამშობლოს მისცა ცნობილი მხედართმთავრები: გენერალ-მაიორი გიორგი ჭინჭარაძე, კონტრადმირალი მიხეილ ჭინჭარძე, საბჭოთა კავშირის გმირი, პოლკოვნიკი გიორგი ბილანიშვილი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი გელა უნაფქოშვილი და სხვები.

პატარძეული ცნობილია თავისი სახელოვანი სპორტსმენებით, ბეჭდაუდებელი ფალავნებით, ჩოგბურთის ოსტატებით, სწავლული აგრონომებით, მედიცინის, სოფლის მეურნეობის ვეტერანი მუშაკებით.

*ალექსანდრე ელერდაშვილი,*
***მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი***

## დღევანდელობა

სოფლის მთლიანი ფართობი 14970 ჰა;
სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 7409 ჰა;
საძოვარი 4375 ჰა
სათიბი 99 ჰა
სახნავ-სათესი: 2667 ჰა;
მრავალწლიანი ნარგავები: 268 ჰა;
ვენახი 15 ჰა;
საკარმიდამო ნაკვეთი: 137ჰა;
მოსახლეობა:
კომლი – 1316
კაცი – 3516
სოციალურად დაუცველი – 433 ადამიანი.

**სოფლის რწმუნებულია**
**თემურ ყუშიტაშვილი.**

დაიბადა 1948 წელს სოფელ პატარძეულში.

1966 წელს დაამთავრა პატარძეულის საშუალო სკოლა;

1967-1972 წწ-ში სწავლობდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია.

1972-1975 წ.წ-ში იყო სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

1975-1980 წ.წ-ში მუშაობდა სოფელ უდაბნოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში მთავრ ინჟინერ-მექანიკოსად.

1980-1990 წ.წ-ში იყო გომბორის მეცხოველეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

1990-2011 წ.წ-ში საქართველოს „აგროქიმიის“ საგარეჯოს სერვისცენტრის დირექტორი.

2011 წლის 1 ოქტომბრიდან სოფლის რწ-

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

## სოფელი

# პატარძეული

**დასასრული**

მუნებულია.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

**სოფლის ინფრასტრუქტურა:**

2008 წელს სოფელში განხორციელდა გაზიფიცირების, სასმელი წყლის ჭაბურღილის ბურღვის, სასმელი წყლის ჭაბურღილის ქსელის მოწყობის, ე.წ. „ფიდინაანთ უბნის“ სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის აღდგენის, ხევზე გადასასვლელი ხიდისა და ბოგირის მშენებლობის, ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციის, „ფიდინაანთ ხევის“ გაწმენდის და სასმელი წყლის სათავე ნაგებობის აღდგენითი სამუშაოები, რომელზედაც დაიხარჯა 297900 ლარი.

2009 წელს აქ მოხდა წყალსადენის სარეაბილიტაციო, არტეზიული ჭაბურღილის მოწყობის, საუბნო გზის მოხრეშვის, ცენტრალური გზის ასფალტის ორმული შეკეთების, გმირთა სავანის სარეაბილიტაციო და სტიქიით დაზიანებული წყლის სათავის აღდგენითი სამუშაოების განხორციელება.

ფიქრია გულიაშვილი

2010 წელს კი აქ მოასფალტდა შიოს სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი გზა.

2011 წელს პატარძეულში მოეწყო ჭაბურღილი. შეძენილ იქნა და დამონტაჟებული სოფელში არსებული სუბარტეზიული ჭაბურღილისათვის 1 კომპლექტი 5.5 კვტ სიმძლავრის სასმელი წყლის ამომქაჩი ტუმბო. ასევე, შეძენილ იქნა სასმელი წყლის ჭაბურღილისათვის რეზერვუარი. სასმელი წლის სისტემის რეაბილიტაციისათვის აქ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა. 2012 წელს სოფელში მოხდა შიდა გზების მოხრეშვა და სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია. აღნიშნული სამუშაოები ჩატარდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, რეგიონალური განვითარების ფონდის და ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებით.

საჯარო სკოლა

**საჯარო სკოლა.**
**მენეჯერი ნინო ბურდიაშვილი**

მოსწავლე 334

პედაგოგი - 39

შენობა ორსართულიანია. აქვს 21 საკლასო ოთახი, რომელშიც 14 სასწავლო კლასია განთავსებული. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, სასკოლო ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკარი: ფიქრია გულიაშვილი) წიგნადი ფონდი 6000.

სკოლის სერტიფიცირებული პედაგოგები არიან: ნინო ბურდიაშვილი, შალვა ბილანიშვილი, თინა ბუჩაშვილი, მაია მოზაიძე, მარინე დიღმელაშვილი, ნანა ცხვარიაშვილი, ეკა უსტიაშვილი, მარინა ცხვარიაშვილი, გულო ბილანიშვილი, ნინო მუჩიაშვილი.

სკოლის წარმატებული მოსწავლეები და

ნინო ბურდიაშვილი

ოქროსა და ვერცხლის მედლის კანდიდატები არიან მეთორმეტეკლასელები: სალომე გიუნაშვილი, მაგდა უსტიაშვილი, სოფიკო ბილანიშვილი.

გასული წლის სკოლის კურსდამთავრებულმა ნინო უსტიაშვილმა, რომელიც თბილისის ილიას სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტია 100 %-იანი სახელმწიფო დაფინანსების გრანტი მიიღო. სკოლას ჰყავს ღირსების ორდენოსანი მასწავლებლები: მარიამ ჯავახიშვილი და ომარ მიქელაშვილი. სკოლის მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ რესპუბლიკურ შემოქმედებით კონფერენციებსა და ოლიმპიადებში, სხვადასხვა კონკურსებში.

**ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი**

სკოლა-ლიცეუმის დირექტორია **ცისია დიღმელაშვილი.**

სკოლა ორსართულიანია 12 საკლასო ოთახით. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, უცხო ენათა, ხატვის კაბინეტები, სააქტო დარბაზი და სოფლის ისტორიის მუზეუმი.

მოსწავლე – 65;

პედაგოგი – 20

სერტიფიცირებული პედაგოგები არიან: მარინა დიღმელაშვილი და ნათია ჯავახიშვილი.

სკოლას ჰყავს ოქროს მედლის კანდიდატი – მე-12 კლასელი არსენ გორგაძე.

საბავშვო ბაღი №1-ის აღსაზრდელები

წარჩინებული მოსწავლეები არიან მადონა მურველაშვილი, გვანცა გიუნაშვილი, ბექან მუჩიაური, გვანცა მუჩიაშვილი, თენგიზ ტეტიაშვილი.

სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეები დაჯილდოვდნენ საფრანგეთისა და ეგვიპტის ქვეყნებში სამოგზაურო საგზურებით. ასევე მონაწილეობა მიიღეს ბრაზილიაში გამართულ სასწავლო-შემეცნებით კონკურსში. ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა კონკურსში მონაწილე ორმა ფინალისტმა ორი ნოუთბუქი მოიპოვა. ახლახანს კი სტრასბურგში გამართულ საშობაო ბაზრობაზე საქართველოს რესპუბლიკას წარადგენენ სკოლა-ლიცეუმის კურსდამთავრებულები, სტუდენტები: თამარ ოთარაშვილი და ლაშა გიუნაშვილი.

ფრანგული ენის განვითარებისათვის მიღწეული წარმატებებისათვის საფრანგეთის საელჩომ და ფრანგული ენის მასწავლებელთა ასოციაციამ სიგელებით დააჯილდოვეს ცისია და მარინა დიღმელაშვილები.

**საბავშვო ბაღი №1**
**მენეჯერი მარიამ შათირიშვილი**

აღსაზრდელი 38

პედაგოგი 3

ბაღი განთავსებულია ახლადგარემონტებულ ოთახებში.

**საბავშვო ბაღი №2**

ბაღის მენეჯერია **ეკა ახვერდაშვილი**

ეკა ახვერდაშვილი

აღსაზრდელი 40

პედაგოგი 2

შენობა ერთსართულიანია. განთავსებულია 1 ჰა მიწაზე. 2011 წელს ბაღი მთლიანად გადაიხურა თუნუქის ფურცლებით. ახლადგარემონტებულია 2 ოთახი. შენობაში გაკეთდა სველი წერტილები.

**საოჯახო მედიცინის ცენტრი**

ექიმები: მაგული ტორიაშვილი და ნანა ბედოიძე.

მედიცინის დები: დალი უსტიაშვილი და დალი ლაფერიშვილი.

მედიცინის ცენტრი განთავსებულია ერთსართულიან გარემონტებულ და კეთილმოწყობილ შენობაში, სადაც განთავსებულია:

ექიმი მაგული ტორიაშვილი (მარცხნივ) და მედდა დალი უსტიაშვილი

ექიმის კაბინეტი, რეგისტრატურა, სამანიპულაციო, აფთიაქი და სველი წერტილები. მედიცინის ცენტრი ემსახურება 3200 ადამიანს.

ცისია დიღმელაშვილი

**ბიბლიოთეკა**
**ბიბლიოთეკარი ნათელა მუჩიაური**

წიგნადი ფონდი – 15000

ბიბლიოთეკა განთავსებულია საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის II სართულზე.

საბავშვო ბაღი №2-ის აღსაზრდელები

**პრიორიტეტული საკითხები:**

კაპიტალური რემონტი ესაჭიროება სოფლის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობას.

კაპიტალურ რემონტს მოითხოვს სოფლის კულტურის სახლი.

შიდა სასოფლო გზებია მოსაწერიგებელი 5 კმ. სიგრძის.

სოფელს ესაჭიროება ნაგავმზიდი მანქანა.

რემონტი ესაჭიროება წყალსაქაჩ ტუმბოებს.

მიმდინარეობს გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმის რემონტი.

ალიგრდა

# სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

# მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებისათვის

ეიზანი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს აქვთ დასახული მომავალი თაობის აღზრდის საქმეში, მართლაც რომ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. ადამიანი, რომელსაც 21-ე საუკუნეში უწევს ცხოვრება, ყოველმხრივ განვითარებული უნდა იყოს. სწორედ, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში უნვითარდებათ და უყალიბდებათ პატარებს საზოგადოებასთან ურთიერთობის, გარე სამყაროს შეცნობის თვისებები და უნარ-ჩვევები. აქედან ეცნობიან იმ მოთხოვნებს, რასაც მათ წინაშე აყენებს საზოგადოება და საერთოდ, მომავალი მათი ცხოვრება. ასეთ დაწესებულებებში კი სწავლა-აღზრდის, განვითარების, მათში გარშემომყოფთათვის მისაღებ უნარ-ჩვევებზე აღსაზრდელებს მათთვის შექმნილი გარემო პირობები უყალიბებს. ამიტომაცაა უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მოწესრიგებას – აშენდა ახალი შენობები, შეტანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნივთები, სათამაშო კუთხეები შეივსო ახალი სათამაშოებით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის **ანა ქვლივიძის** დღევანდელი საუბარიც ძირითადად საბავშვო ბაგა-ბაღებისა და ბაღების შენობებისა და კეთილმოწყობის, მათში სამუშაო პირობების დღევანდელ მდგომარეობას შეეხება. როგორც მან გვითხრა:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 26 ერთეული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა, საიდანაც 7 საბავშვო ბაგა-ბაღის პროფილითაა, 19 კი – საბავშვო ბაღის. საბავშვო ბაგები გვაქვს საგარეჯოს №1 და №3, კაკაბეთის №2, გიორგიწმინდაში, ნინოწმინდაში, ბადიაურსა და უდაბნოში. მიმდინარე სასწავლო წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ათასამდე ბავშვია დაფინანსებული. კვების ღირებულების 69%-ს ბავშვზე გამგეობა აფინანსებს, 31%-ს კი აღსაზრდელის მშობელი.

სკოლამდელთა აღზრდას 62 პედაგოგი ემსახურება.

ახალი სასწავლო წელი მუნიციპალიტეტის 25 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დაიწყო. თავისი აღსაზრდელები ჯერჯერობით არ მიუღია ხაშმის საბავშვო ბაღს. აღნიშნულ საბავშვო ბაღის შენობას მხოლოდ გარედან ჩაუტარდა რემონტი, შიგნით კი იმდენად სარემონტოა, რომ ჯერჯერობით ამის საშუალება არ არის. უახლოეს ხანში საამისოდ საჭირო თანხებიც გამოიძებნება.

მართალია, ზოგიერთ საბავშვო ბაღის შენობას ესაჭიროება მიმდინარე კაპიტალური რემონტი, მაგრამ იქ სიახლეებიცაა, შეძენილია და შეტანილია ახალი მაცივარი, ახალი გაზქურა, ახალი მუსიკალური ცენტრი, დამთავრებულია გაზიფიცირება. სურათი კი, ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შესახებ შემდეგნაირია:

**სოფელ შიბლიანში** არსებულ საბავშო ბაღის შენობას ესაჭიროება მიმდინარე რემონტი, თუმცა, იქაურმა აღმზრდელ-პედაგოგებმა და მომსახურე პერსონალმა ყველაფერი იღონა აღსაზრდელთა ნორმალურ პირობებში მისაღებად. სულ ახლახანს საბავშვო ბაღს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ მუსიკალური ცენტრი და მაცივარი შეუძინა.

**სოფელ ბოგდანოვკაში** ახალი სასწავლო წელი აქაურმა აღსაზრდელებმა დიდი ხნის ნაოცნებარ შენობაში დაიწყეს – აშენდა ახალი შენობა, გადაეცათ ახალი გაზქურა და ახალი მაცივარი.

**ბადიაურის** საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა გადაიხურა, დაიგო ლამინირებული იატაკი, გადაეცათ გაზქურა და სკამები.

**ყანდაურის** საბავშვო ბაღის შენობაში ახლიდან მოხდა ელექტროგაყვანილობის შეცვლა. სახურავი გადაიხურა, შეტანილი იქნა ახალი გაზქურა, სათამაშოები და სკამები.

**კაკაბეთის** №1 საბავშვო ბაღის შენობას ესაჭიროება კაპიტალური რემონტი, გადახურვა. აქ არც სასმელი წყალია. ბაღში შეტანილია გაზქურა და მაცივარი.

**კაკაბეთის** №2 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა იაპონიის საელჩოს მიერ გამოყოფილი გრანტით გაკეთდა, თუმცა დღეს საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს შემოღობვა სჭირდება. ბაგა-ბაღს გადაეცა ახალი გაზქურა.

**დიდი ჩაილურის** საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა სასწავლო წლის დაწყება ახალ შენობაში იზეიმეს. საბავშვო ბაღს დღემდე არ აქვს წყალი. გადაეცათ ახალი მაცივარი და ახალი გაზქურა.

**მანავის** I საბავშვო ბაღის ფანჯრებს შემინვა სჭირდება. ამ საბავშვო ბაღს ახალი სასწავლო წლისათვის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით ახალი სამზარეულო ჭურჭელი და გაზქურა გადაეცათ.

**მანავის** №3 ბაღის შენობას ესაჭიროება კაპიტალური რემონტი, შემინვა, აქ არ არის წყალი. ბაღს აქვს ახალი მაცივარი და გაზქურა.

**თოხლიაურის** საბავშვო ბაღის ეზო შემოსაღობია. მათაც გადაეცათ ახალი გაზქურა და მაცივარი.

**გიორგიწმინდის** საბავშვო ბაგა-ბაღის შენობას გაუკეთდა ახალი გადახურვა, გარედან კაპიტალური რემონტი. გამოიცვალა გარე ფანჯრები, მაგრამ შენობაში შიგნით ჩასატარებელია კაპიტალური რემონტი, არ მუშაობს კანალიზაცია. წყლის მუდმივად მიწოდებისათვის საბავშვო ბაგა-ბაღისათვის შეძენილ იქნა წყლის საქაჩი. დამთავრდა გაზიფიცირება, აღსაზრდელებს ახალი გაზქურა და სათამაშოები გადაეცათ.

**ნინოწმინდის** საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა კაპიტალურ რემონტს მოითხოვს – შენობაში წვიმისა და თოვლის წყალი ჩამოდის. გასაკეთებელია სველი წერტილები, შენობის გაზიფიცირება ახლახანს დამთავრდა, მათ გადაეცათ მუსიკალური ცენტრი.

**პატარძეულის** №1საბავშვო ბაღის შენობას გაუკეთდა რემონტი, გადაიხურა სახურავი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ მათ სკამები, მუსიუკალური ცენტრი და მაცივარი შეუძინა.

**პატარძეულის** II საბავშვო ბაღის შენობაში გაკეთდა რემონტი. შეძენილია სათამაშოები.

**უჯარმის** აღსაზრდელებს საბავშვო ბაღის ახალი შენობა აქვთ, ასევე აქვთ ახალი გაზქურა და ახალი მაცივარი.

**გომბორის** საბავშვო ბაღის შენობა სარემონტოა. შესაცვლელია იატაკი. მათ აქვთ ახალი მუსიკალური ცენტრი.

**უდაბნოს** საბავშვო ბაგა-ბაღის შენობას ესაჭიროება კაპიტალური რემონტი. საბავშვო ბაგა-ბაღს, ისევე როგორც სოფელს, სასმელი წყალი არ ჰქონდა. მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სოფლის ხელმძღვანელი პირების ძალისხმევით დღეს საბავშვო ბაგა-ბაღს სასმელი წყალი გრაფიკით მიეწოდება. ბაგა-ბაღს გადაეცა მუსიკალური ცენტრი და მაცივარი.

**წყაროსთავის** საბავშვო ბაღი ახალი სასწავლო წლიდან ახალ შენობაში განთავსდა. გაზიფიცირების სამუშაოებიც დამთავრდა. მათ ახალი გაზქურა აქვთ.

**ხაშმის** საბავშვო ბაღის შენობას გარედან გაუკეთდა რემონტი, ახლა შიგნით ესაჭიროება. მათაც გადაეცათ ახალი გაზქურა, მაგრამ სასწავლო-საადმზრდელო პროცესი ჯერ არ დაწყებულა.

**ვერხვიანის** საბავშვო ბაღის შენობას ესაჭიროება რემონტი. ჭერი დაზიანებულია და არ არის სველი წერტილებიც. ბაღს ახალი გაზქურა აქვს.

**საგარეჯოს I საბავშვო ბაღის** შენობა ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. მათ ახლახანს სკამები, სათამაშოები და გაზქურა გადაეცათ.

**საგარეჯოს II საბავშვო ბაღის** აღსაზრდელები ძველ შენობაში არიან. ახალი შენობა მშენებარე პროცესშია. მათ აქვთ ახალი ცენტრი და ახალი სათამაშოები.

**საგარეჯოს III საბავშვო ბაღი** სარემონტოა. გადაეცათ ახალი მაცივარი.

**საგარეჯოს I საბავშვო ბაგა-ბაღი** სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. ჩასატარებელია კაპიტალური რემონტი. შესაცვლელია კარ-ფანჯარა, არ აქვს წყალი, გადაეცათ ახალი სათამაშოები, მუსიკალური ცენტრი და მაცივარი.

**საგარეჯოს №3 ბაგა-ბაღის** შენობის სახურავი და კანალიზაცია დაზიანებულია. მეორე სართულზე არ არის წყალი. ბაღის მომსახურე პერსონალს პრობლემად აქვს ქცეული ბაღის ტერიტორიაზე მოხეტიალე მაწანწალა ძაღლებისგან შექმნილი მდგომარეობა. აღსაზრდელებს გადაეცათ სკამები, სათამაშოები და გაზქურა.

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეტანილია შეშა. შეშა. შეტანილია ასევე ისეთ საბავშვო ბაღებში, სადაც გაზიფიცირებაა, თავიდან რომ იქნეს აცილებული შემდგომი პრობლემები. აღსანიშნავია ის, რომ ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის და საბავშვო ბაღის ეზოს ესაჭიროება სათამაშო გასართობები, საქანელები, კარუსელები, სასრიალოები და სხვა.

აქ ყველა პირობაა შექმნილი მეცადინეობის, სასწავლო პროცესის ნორმალური წარმართვისათვის. საინტერესო ღონისძიების ჩატარებისათვის დიდი პასუხისმგებლობით ემზადებიან – მათ ხომ ინოვაციური მეთოდებით ინტერაქტიული მეცადინეობების ჩატარება მოუწევთ.

*ჩაიწერა: თინა ილაური*

ამაგდარნი

# „არც კაცთ არ დაავიწყდებით“...

ადის წლები. ბევრს იმ სამუშაო უბანზე თეთრად ჩამოათოვა წლებმა, სადაც ფეხი აიდგა როგორც დამწყებმა სპეციალისტებმა, შემდეგ კი, როგორც პროფესიონალმა. ისინი ნელ-ნელა ტოვებენ საყვარელ სამუშაო უბნებს, ეძნელებათ, არ ეთმობათ, მაგრამ, სხვა გზა არ არის... წლები თავისას ითხოვს – სხვას უნდა გადაულოცოს თავისი საქმე, თვითონ კი საოჯახო საქმეებს გულდამშვიდებულმა მიხედოს ტკბილი მოგონებებით. უკანასკნელ ხანს კი თითქოს მიგვავიწყდა ეს ადამიანები, თითქოს სინდისის ქენჯნასაც ვგრძნობთ – დამსახურებულად ვერ გავაცილეთ სახლისკენ, მადლობაც ვერ მოვუხადეთ. და, აი, 20 ნოემბერს სოფელ უდაბნოში საკლუბო მუშაობის სპეციალისტის ფიქრია მარგიანის ხელმძღვანელობით ოთხ პედაგოგს მოუწყეს შეხვედრა, სადაც თბილი სიტყვები ითქვა იმ პიროვნებების მიმართ, ვინც თავიანთი ცხოვრების საუკეთესო წლები მომავალი თაობის აღზრდას მოახმარა, ვინც თავის პოსტზე უკიდურესად გაჭირვებულ წლებშიც კი ერთგულობდა სოფლის მომავალს. აი, ისინიც: ჟუჟუნა გუჩაშვილი (თუმცა ამ შეხვედრას თავად ვერ დაესწრო), ნანული მარგიანი, ანა გვარლიანი, იოსებ უსტარაშვილი. მათ მადლიერების სიტყვებით მიმართეს უდაბნოს რწმუნებულმა მზევინარ ჯაჭვლიანმა, უდაბნოს საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგმა ნარგიზა სამსიანმა, უდაბნოელმა გაიოზ ჩართოლანმა, ასევე საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორმა ბესო ღვინაშვილმა, საგარეჯოს კულტურის სახლის მენეჯერმა თინა მეზვრიშვილმა. მოწვეულებს მათ დამსახურებული ჯილდოები, სიგელები და ფასიანი საჩუქარი – საათი გადასცეს.

ფიქრია მარგიანის ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა მოწვეულ სტუმრებს კონცერტი გაუმართა.

მიმდინარე წლის 22 ნოემბერს კი სოფელ კოჭბანის საკლუბო მუშაობის სპეციალისტმა ხათუნა მძლეურმა ყოფილ ბიბლიოთეკარს, 86 წლის ოლია წიკლაურს მოუწყო შეხვედრა, რომელიც 51 წელი დიდი სიყვარულითა და საქმის ერთგულებით ემსახურა წიგნისმოყვარე კოჭბანელებს. შეხვედრაზე გულთბილი სიტყვებით გამოვიდნენ კოჭბანელი მოლექსე გრიშა აფციაური, (რომელმაც ლექსი მიუძღვნა ქ-ნ ოლიას), საგარეჯოს კულტურის სახლის მენეჯერი თინა მეზვრიშვილი, კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორი ბესო ღვინაშვილი, ბიბლიოთეკარი რუსუდან ოთიაშვილი. მოლექსე რამაზ დიდებაშვილის ლექსი წაიკითხა მისმა დამ მაია დიდებაშვილმა. შეხვედრის მოწყობასა და ორგანიზებაში ხათუნა მძელურს დახმარება კოჭბანის საჯარო სკოლის დირექტორმა თამარ წიკლაურმაც გაუწია.

ეს შეხვედრა იყო კიდევ ერთი დასტური იმისა, თუ როგორ შეუძლია ქართველებს საქართველოში დამსახურებული ადამიანების პატივისცემა, არ დავიწყება და მტკიცება იმისა, რომ საქართველოში არავინ არ უნდა გაიფიქროს და მოიაზროს ამაგდარი ადამიანის მიმართ – ჩარეცხილები.

გთავაზობთ ოლია წიკლაურისადმი გრიშა აფციაურის მიერ მიძღვნილ ლექსს:

## ოლია წიკლაურს

ბოდიშს მოგიხდი, ოლია
ლექსს ვერ გიწერავ ფრთიანსა,
გისურვებ ლამაზ სიცოცხლეს,
ცხოვრებას ხალისიანსა.
დაგლოცავს ბუნების ძალა,
დღეებს შეგმატებს მზიანსა,
ფიქრები გაგახსენებენ
შენს ცეკვას, ცერზე ტრიალსა.
შრომაც გიყვარს და მოლხენაც,
დღეებს ლოცავდი მზიანსა,
ნიადაგ პატივსა გცემენ
ანგელოზივით ჭკვიანსა.
შენ ბევრ ქარიშხალს გაუძელ
მწარეს და ქარიშხლიანსა,
არ მინდა მტერმა შეგხედოს
დაბოღმილს, თვალებწყლიანსა.
იცოცხლე, დიდხანს იცოცხლე
მკვიდრ მამა-პაპურ კერაზე,
რძლებს ცოტა დაუტატანე,
მუდამ რომ იყვნენ სმენაზე.
აის არ ალაპარაკო,
რაც მოადგება ენაზე,
იდგნენ წელგამართულები
ჯიქ მულის გამოჩენაზე.
კარგ ხასიათზე დგებოდნენ
შენი მუსიკის ჟღერაზე,
აქტს არ ადგენდნე ფარულად
მულების ჩამოწერაზე.
იფრთხილე დედიმის ქალო
სიცოცხლის გადარჩენზე.
არ შამიწუხო ჩხუბითა,
თაფლი წაისვი ენაზე.

*გრიშა აფციაური*

მართლმადიდებლობა

მართლმადიდებლობა

## შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთი

# ქორწინების საიდუმლო

**ბოლო ორი ათეული წელია, დიდი ყურადღება დაეთმო წყვილის შეუღლებისას ჯვრისწერის ცერემონიალის აუცილებლობას. მავანი მოდას აჰყვა – თუ სხვამ დაიწერა ჯვარი, რატომ ჩემმა შვილმა არ უნდა დაიწეროს ჯვარიო და ქორწილის დღეს ჯვარისწერის ცერემონიალიც ერთ-ერთ ატრიბუტიკად „შეიტანა“ დღის წესრიგში. მაგრამ არიან და მრავლადაც (მადლობა უფალს), მთელი შეგნებით ეკიდებიან საკითხს, რომელიც თავად უფალმა დააწესა – ემზადებიან მთელი მონდომებით და ჯვარისწერის გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნიათ ქორწინება. ასეთ ქორწინებას თავად უფალი აკურთხებსო, ამბობენ და ოჯახს, წყვილს, რა განსაცდელიც არ უნდა ჰქონდეს, უფლის შეწევნითა და მფარველობით, ყველაფერს უძლებსო. სტატისტიკური მონაცემებიც ამას მოწმობენ – ბევრად ნაკლებია განქორწინებულთა შორის ჯვარდაწერილები.**

**ჩვენი აზრით, არ იქნება ინტერესმოკლებული, თუ ქორწინების საიდუმლოს გავეცნობით, რომელიც ინტერნეტში განთავსებული და სხვადასხვა მასალიდან მოვამზადეთ.**

უფალი, მიუთითებდა რა მოსეს სჯულზე, ასწავლიდა: “ამისათვის დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც” (დაბ. 2, 24). “ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ხორც. აწ უკვე რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენ” (მთ. 19, 6). მაცხოვარი ქადაგებდა ქორწინების ურღვეველობას, რომელიც შეიძლება შეწყვეტილი იქნეს მხოლოს მეუღლეთაგან ერთ-ერთის მრუშობის მიზეზით: “რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვინიერ სიძვისა და სხუა შეირთოს, იმრუშებს”... (მთ. 19, 9)

წმიდა მოციქულმა პავლემ ქორწინებას საიდუმლოს მნიშვნელობა მიანიჭა. “ცოლნი,- წერდა იგი ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში, - თვისთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა ქრისტე უფალსა, რამეთუ ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ არს ეკლესიისა და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისა, არამედ ვითარცა ეკლესია დამორჩილებულ არს ქრისტესა, ეგრეცა ცოლნი თვისთა ქმართა ყოვლითა. ქმართა გიყუარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესია და თავი თვისი მისცა მისთვის. ამისათვის დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც. საიდუმლო ესე დიდ არს, ხოლო მე ვიტყვი ქრისტესათვის და ეკლესიისა” (ეფეს. 5, 22-25; 31-32).

ქორწინების წესის აღსასრულებლად საკმარისი არაა მხოლოდ დაქორწინების მსურველთა გადაწყვეტილება. საეკლესიო კანონები, რომლებიც ქორწინებას შეეხებიან, ითვალისწინებს რა, რომ იგი საღმრთო საიდუმლოს წარმოადგენს, იძლევიან ფორმულირებას იმ პირობებისა, რომელთა დაცვაც აუცილებელია მისი აღსრულებისათვისაც, ხსენებული პირობების დაუკმაყოფილებლობა წარმოშობს ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს.

ქრისტიანული სწავლება ქორწინებას თვლის კავშირად, როდესაც მამაკაცი და დედაკაცი იღებენ თავიანთ თავზე ვალდებულებას იცხოვრონ ერთად განუყოფელად მთელი ცხოვრება როგორც ქმარი და ცოლი, ერთად აღასრულონ რელიგიურ-ზნეობრივი საკითხები და დაეხმარონ ერთმანეთს ცხოვრებისეულ საქმეებში. ასეთი ურთიერთშეთანხმებითი კავშირი ბადებს იმ კეთილგანწყობილ პირობებს, რომელშიც იბადებიან და აღიზარდებიან მათი შვილები.

ქორწინება განიხილება როგორც განსაკუთრებული საიდუმლოება, რომელსაც თან ახლავს ღვთის მადლის მოქმედება.

ეკლესია თავის შეხედულებას ქორწინების არსისა და მნიშვნელობის შესახებ მორწმუნე ადამიანთა ცხოვრებაში საფუძველს უდებს წმიდა წერილის მოწმობებს. მისი მიხედვით ქრისტიანული ქორწინება წარმოადგენს თავის მხრივ მამაკაცისა და ქალის კავშირს, რომელიც უფალმა აკურთხა და მიანიჭა ხალხს. კურთხევის საშუალებით ქორწინება ხდება წმიდა ყველა ურთიერთობაში: “სარეცელი უმწიკლო იყოს ყველასი” (ებრ. 13,4). პირველი ოჯახი - ადამი და ევა თვით უფალმა აკურთხა სამოთხეში: “ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა და დაეუფლეთ მას” (დაბ. 1,28). თქვა უფალმა: “არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა, გავუჩენ შემწეს მის შესაფერს... გამოუღო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო... დედაკაცი შექმნა ღმერთმა და ადამს მოუყვანა... და თქვა ადამმა: ეს კი მართლაც ძვალია ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი. დედაკაცი ერქვას მას, რაკი კაცისაგან არის გამოღებული” (დაბ. 2,22)... ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთ ხორცად იქცნენ. სიტყვა - შეეწებებას - წმიდა წერილი განიხილავს როგორც მჭიდრო შეერთებას მათი ფიზიკური და სულიერი ინტერესებისა ღვთის სიყვარულის საფუძველზე. ასეთმა ორმხრივმა სიყვარულმა მოუტანა მათ სიხარული და ერთობა ერთობლივ ცხოვრებაში. ასევე აკურთხა უფალმა ძველი აღთქმის ოჯახები: აბრაამი და სარა, ისააკი და რებეკა, იაკობი და ყველა მამამთავარი: იოსები და ასინეთი, მოსე და სეფორა, იოაკიმ და ანა, ზაქარია და ელისაბედი.

ქორწინება აკურთხა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, როდესაც გალილეის ქალაქ კანაში თავისი ნათესავის სვიმონ მოშურნის, კანანელის ქორწილს დაესწრო და წყალი ღვინოდ აქცია (იოან. 2,1-11). ჩვენი დღევანდელი წესი ჯვრისწერისა სწორედ ამ ღვთაებრივ კურთხევას წარმოადგენს, როდესაც მღვდელი ჯვარს წერს, იგი სიმბოლურად უფალს განასახიერებს და ამდენად ოჯახს უხილავად თვით იესო ქრისტე ლოცავს.

ჯვრისწერის წესი შედგება ორი ნაწილისაგან: წინდობისა და გვირგვინის კურთხევისაგან (ჯვრისწერა).

წინდობა ეს არის ქრისტიანული ფორმა ქორწინებისა. წინდობას წინ უსწრებს მშობელთა და სულიერი მოძღვრის ლოცვა-კურთხევა. ამ კავშირის განმტკიცების ხილულ ნიშანს მშვიდობით, სიყვარულსა და საერთო აზრებში წარმოადგენს სიძესა და პატარძლისათვის ბეჭდების დაბნევა მოძღვრის ლოცვით.

ლიტურღიის აღსრულების შემდეგ მღვდელი დადგება საკურთხეველში, ხოლო სიძე-პატარძალი დადგებიან ანალოგიის წინ შუა ტაძარში. ქალი მარცხნივ, კაცი მარჯვნივ. წინდობა და ქორწინება უნდა მოხდეს ეკლესიაში მღვდლის მიერ და არა ნებისმიერ დროს, არამედ ლიტურღიის მოსმენის შემდეგ. მღვდელი სიძე-პატარძლის ბეჭდებს დასდებს წმიდა ტრაპეზზე. მამაკაცისას მარჯვნივ, ქალისას – მარცხნივ. ბეჭდები არ იკურთხება მღვდლის მიერ საიდუმლო ლოცვით, არამედ დასდებს მათ მღვდელი წმიდა ტრაპეზზე და ასე იკურთხება. ბეჭედი სიძისა უნდა იყოს ვერცხლის, ხოლო ქალისა - ოქროსი. წინდობა იწყება საკურთხევლიდან წმიდა სახარებისა და ჯვრის გამოტანით და დაბრძანდება ანალოგიაზე.

მღვდელი სამჯერ გამოსახავს ჯვარს ორივეს და მისცემს მათ ანთებულ სანთლებს და აკმევს ჯვრის სახით. ქორწინების დროს ანთებული სანთლები ყველა ხალხში გამოიყენება, როგორც ნიშანი მეუღლეობის სიყვარულისა, რათა ახალშეუღლებულნი ხედავდნენ რა ამ ანთებულ სანთლებს, შეინახონ არა მხოლოდ სიყვარული, არამედ მეუღლეობის კავშირი დაურღვევლად. მაგრამ გარდა მეუღლეობის ჩაუქრობელი სიყვარულისა და განუყოფელი კავშირისა, ანთებული სანთლები ხელში აღნიშნავენ მათი ცხოვრების სიწმინდეს, რადგანაც უფალი ამბობს: “რამეთუ ყოველი, რომელი ბოროტსა იქმს, სძულს მას ნათელი და არა მოვალს ნათელსა, რაითა არა ემხილნენ საქმენი მისნი, ხოლო რომელი იქმან ჭეშმარიტებასა, მოვალს ნათლად, რათა ცხად იყვნენ საქმენი მისნი, რამეთუ ღმრთისა მიერ ქმნულნი არიან” (იოან. 3,20-21). სვიმეონ თესალონიკელი ამბობს: “წმიდა ეკლესია ქორწინების დროს ყველას არ აძლევს ხელში სანთელს, არამედ მხოლოდ ქალწულებს: რადგან ქალწულები შეხვდნენ მხოლოდ სიძეს კანდელებით, როგორც სახარებაშია. ასე რომ მეორედ ქორწინების დროს არ ეძლევათ სანთლები. ანთებული სანთლები მოასწავებენ სულიერ სიხარულს”.

მღვდელი შედის საკურთხეველში ამბობს ასამაღლებელს: კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი... მშვიდობიანი კვერექსი, სადაც მღვდელი გამოითხოვს უფლისაგან ახალშეუღლებულთა ცხონებას, ღვთის წყალობას, სიყვარულს, მტკიცე რწმენას, შეუგინებელ საწოლს... შემდეგ მღვდელი წაიკითხავს წინდობის ორ ლოცვას. ამის შემდეგ მღვდელი ბეჭდებს გაუკეთებს სიძესა და პატარძალს. მღვდელი სამჯერ გამოსახავს ჯვარს ქალს ბეჭდით მამაკაცის თავზე და იტყვის: დაიწინდვის მონა ღვთისა (სახელი) მხევალ ღვთისაზე (სახელი)...

ხოლო მამაკაცის ბეჭდით ქალის თავზე და იტყვის: დაიწინდვის მხევალი ღვთისა (სახელი) მონა ღვთისაზე (სახელი)...

ქალის ოქროს ბეჭედი მიეცემა ჯერ მამაკაცს, როგორც მომავალ ოჯახის თავს და წინამძღვარს, ხოლო ვერცხლისა ქალს, როგორც მამაკაცის თანამოაზრეს, დამხმარეს; ამის შემდეგ ხდება ბეჭდების გაცვლა. გაცვლა ნიშნავს (მამაკაცს მოხსნის და ქალს დააბნევს) ქალის სისუსტეებს მისცემს მამაკაცურ სულს და ამასთანავე მიახვედრებს ქალს, რომ ის უნდა იყოს მამაკაცის თანახმა ყველა საქმეში. სიმრგვალე, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, ძველთაგან მარადიულობის სიმბოლო იყო, ბეჭედი კი სიმბოლოა მარადიული სიყვარულისა. სანამ ბეჭედს თითზე მოირგებენ, ნეფემ და პატარძალმა სამჯერ უნდა გაცვალონ ისინი, რაც სიმბოლურად ცხოვრების გაზიარებას ნიშნავს.

ჯვრისწერის წესში ასახულია ოჯახური ცხოვრების ტრადიცია ეკლესიური გააზრების საფუძველზე..

წმიდა იოანე ოქროპირი წერს: გვირგვინები დაედგმებათ მეუღლეებს თავზე გამარჯვების ნიშნად გონივრული ცხოვრებისათვის. ამით ნაჩვენებია, რომ მათ გაიმარჯვეს ვნებებზე ქორწინებამდე და ასეთები მივლენ ქორწინების საწოლთან. მათ გაიმარჯვეს ხორციელ გრძნობებზე. მაგრამ თუ ვიღაცამ შესცოდა და სძლია ხორციელმა გრძნობამ და დამარცხდა, რისთვის უნდა დაიდგას თავზე გვირგვინი? გვირგვინების დადგმით და მღვდლის სიტყვებით: “უფალო ღმერთო ჩვენო, დიდებითა და სიწმინდითა გვირგვინოსან ჰყავ ესენი” მტკიცდება ქორწინების საიდუმლო. ეკლესია აკურთხებს რა ქორწინებას, მორწმუნეებს წარმოადგენს ახალი ქრისტიანული ოჯახის დამფუძნებლებად მცირე ოჯახური ეკლესიისა და უჩვენებს მათ გზას ღვთიური სასუფევლისაკენ.

ღვინის მიღება სამჯერ ჯერ მამაკაცს, როგორც თავს, შემდეგ ქალს განასახიერებს ქრისტეს სასწაულს კანას გალილეაში. ღვინის მიღება ნიშნავს მეუღლეობის განუყოფელ კავშირს. ამიერიდან ქალსა და მამაკაცს საერთო ცხოვრება აქვთ. ერთი ბედი, ერთი აზრი, ერთი სურვილი, ერთი ხორცი... ღვინის შესმა სიმბოლოა იმისა, რომ მათ ჭირშიც და ლხინშიც საზიარო სასმისი უნდა ჰქონდეთ. შემდეგ მღვდელი შეაერთებს ქმრის მარჯვენა ხელს ქალის მარჯვენა ხელთან, ზედ დააფარებს ეპიტრახილს და მათ ზედ კი მის ხელს. ეს ნიშნავს, რომ სასულიერო პირის საშუალებით კაცი მიიღებს ქალს თვით ეკლესიისაგან.

უჭირავს რა თავისი ხელი ზემოდან სასულიერო პირი სამჯერ შემოუვლის ანალოგიას სამების საპატივცემულოდ. გარშემოვლა მუდმივობის ნიშანია. პირველ გარშემოვლისას გალობაში განიდიდება ყოვლადწმიდა ქალწული, იმიტომ რომ ახალშექმნილი ოჯახის უპირველესი მფარველი არის დედა ღვთისა. მეორე გარშემოვლაზე აქ განიდიდება წმიდა მოწამეები და ლოცვით მიმართავენ მათ, რომელთაც დაამარცხეს ვნებები და დაიდგეს გვირგვინი წამებისა. მესამე გარშემოვლაზე გალობის დროს გამოდიან მიწიერი აზრებიდან და ხედავენ თავიანთ მეუღლეობაში ღვთიური სიტყვის შეერთებას ადამიანთა მოდგმისადმი. ასევე ეკლესია ადგამს მათ თავზე ხრწნად გვირგვინებს და ამის მაგალითით უჩვენებს მათ რომ მიბაძონ წმიდა მოწამეებს, განდევნონ ყველა ბოროტება ცხოვრებიდან და გაიმარჯვონ, ბოლოს კი დაიდგან გვირგვინი უხრწნელებისა. ანალოგიის სამჯერ შემოვლის შემდეგ სიძე-პატარძალი დადგებიან თავის ადგილას და სასულიერო პირი მოხსნის გვირგვინს. ჯერ სიძეს, შემდეგ პატარძალს, მიმართავს თითოეულს შემდეგი სიტყვებით, სიძეს: განმრავლდინ... პატარძალს: განსდიდენ ვითარცა სარა... შემდეგ სასულიერო პირი კითხულობს ორ ლოცვას. პირველში ის თხოვს უფალს აკურთხოს სიძე-პატარძალი, რათა მათ უხრწნელი გვირგვინები დაიდგან სასუფეველში. მეორეში ის თხოვს ყოვლადწმიდა სამებას მიანიჭოს მეუღლეებს მრავალჟამიერი, მიწიერი და ზეციური მადლი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ყოველთა წმიდათა ლოცვით.

ძველად სიძე-პატარძალი შვიდ დღეს ატარებდნენ გვირგვინს. საერთოდ აღმოსავლეთის ეკლესიაში ყოველი საიდუმლო ან უდიდესი სულიერი ძღვენის მიღების შემდეგ შვიდი დღის განმავლობაში იხსენებდნენ ამ დღეს და ინახავდნენ თავს წმიდად. როგორც მაგ. ნათლისღებისა და მირონცხების შემდეგ თეთრ სამოსელს ატარებდნენ შვიდი დღის განმავლობაში; აღდგომის დღესასწაული გრძელდება შვიდი დღის განმავლობაში; ახლად კურთხეულ ტაძარში შვიდ დღეს განუწყვეტლად ასრულებდნენ ლიტურღიას. მონაზვნები აღკვეცის შემდეგ ვალდებულნი არიან შვიდი დღე და ღამე დასწრებოდნენ მსახურებას და სხვ.

## კონცერტი... დარბაზი... მაყურებელი

# კულტურის სასახლეში

3 დეკემბერს საგარეჯოს კულტურის სასახლეში გაიმართა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული ფოლკლორული ანსამბლების საანგარიშო კონცერტი. მასში მონაწილეობდნენ საგარეჯოს ქალთა ფოლკლორული სიმღერის ანსამბლი „ჩინარი“ (ხელმძღვანელი ნელი გულიკაშვილი), უდაბნოს ფოლკლორული ანსამბლი „კასლეთილა“ (ხელმძღვანელი ფიქრია მარგიანი), კაკაბეთის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ბერიკაცები“ (ხელმძღვანელი ნიკო გიგოშვილი), საგარეჯოს ვაჟთა ანსამბლი „გარეჯი“ (ხელმძღვანელი მალხაზ ივანელაშვილი), უდაბნოს ბავშვთა ანსამბლი „გარეჯელები“ (ხელმძღვანელი ფიქრია მარგიანი). კონცერტში მონაწილეობდნენ ასევე, ქორეოგრაფიული ანსამბლები: საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ანსამბლი „იმედი“ (ხელმძღვანელები: ფიქრია ჩVეკურაშვილი და გია კუჭუაშვილი) მანავის საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ (ხელმძღვანელები თინა მეზვრიშვილი და გია კუჭუაშვილი), საგარეჯოს №1 საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი (ხელმძღვანელი თინა სუხიაშვილი), №3 საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „სინათლე“ (ხელმძღვანელი ჯონი და დავით მამარდაშვილები), საგარეჯოს ჯუმალ მღებრიშვილის სახელობის ქორეოგრაფიული სტუდია (ხელმძღვანელი მიხეილ ნუკრაძე), თოხლიაურის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი (ხელმძღვანელი გიგლა ნაჭყებია).

საანგარიშო კონცერტს ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე და საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი.

საინტერესო იყო ქალთა ფოლკლორული ანსამბლების „ჩინარისა“ და „კასლეთილას“ გამოსვლები, ასევე, სხვა ყველა მონაწილე ანსამბლების, მაგრამ, თავს უფლებას ვაძლევ და ვიტყვი – დარბაზი არ იყო მომზადებული, როგორც მსმენელი იმ საანგარიშო კონცერტისა, რომელიც სწორედ 3 დეკემბერს და სწორედ ამ დიდ დარბაზში გაიმართა. როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთი ანსამბლის ხელმძღვანელმა შეცდომაში

*დასასრული მე-8 გვერდზე*

## ქიუდო

# საქართველოს სარეიტინგო პირველობა საგარეჯოში

1-2 დეკემბერს საგარეჯოს ძიუდოს დარბაზმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპარეზობას უმასპინძლა – ჩატარდა საქართველოს სარეიტინგო პირველობა ძიუდოში 1996-1997 წლიან სპორტსმენთა შორის, რომელიც ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა საგარეჯოელი ფალავნების ვანო ოტიაშვილისა და ნიკა გილაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ეს ღონისძიება მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ მომავალი წლის მარტში ტარდება საქართველოს პირველობა და ამ ღონისძიებისათვის ძალთა დათვალიერებასა და ფალავანთა შერჩევასაც ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, პირველობაში საქართველოს თითქმის ყველა იმ რეგიონის ფალავნები იღებდნენ მონაწილეობას, სადაც ჭიდაობის ეს სახეობაა დანერგილი. საბოლოო ჯამში კი ორდღიან ასპარეზობაში საქართველოს 370 ძიუდოისტი ჩაება, მათ შორის, რა თქმა უნდა, საგარეჯოელი კიმანოსნებიც.

შეჯიბრების პირველ დღეს 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში საგარეჯოელთაგან ყველაზე კარგი რეიტინგი გაჩნდა ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელ მესამე პრიზიორს ირაკლი კუპატაძეს, მაგრამ ნახევარფინალურ შეხვედრაში მოულოდნელად დამარცხდა ლენტეხელ მეშველიანთან, რის გამოც გამოეთიშა საფინალო შეხვედრას, თუმცა საბოლოოდ მაინც შეძლო მესამე ადგილის დაკავება.

კარგად დაიწყო ჭიდაობა 60 კგ წონით კატეგორიაში ჩვენმა მოჭიდავემ ოთარ კაციაშვილმა, მაგრამ დაშვებული შეცდომის გამო საბოლოოდ ისიც მესამე ადგილზე გავიდა.

საგარეჯოელებისათვის განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ასპარეზობა 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში, სადაც ერთმანეთს ორი საგარეჯოელი, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი კობა მჭედლიშვილი და სიმონ მამარდაშვილი დაუპირისპირდა.

ამ გარეჯულ ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, ევროპის ჩემპიონი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და პირველობის ჩემპიონობა გაინაღდა, სიმონი კი II ადგილზე გავიდა.

ასპარეზობის მეორე დღემ – ორმა დეკემბერმა კიდევ ერთი დიდი წარმატება და სიხარული მოუტანა საგარეჯოელ გულშემატკივრებსა და მოასპარეზეთ. როგორც წინასწარაც პროგნოზირებდნენ, 73 კგ წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო ჩვენმა აღიარებულმა ძიუდოისტმა თამაზ კირაკოზაშვილმა. პირველობის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად თამაზს 5 შეხვედრის გამართვა მოუხდა და ხუთივე იპონით დაასრულა. ჩემპიონის ტიტულთან და ოქროს მედალთან ერთად მას გადაეცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაწესებული პრიზი ტექნიკური ჭიდაობისათვის.

საგარეჯოელი მწვრთნელები და გულშემატკივრები დიდ იმედებს ამყარებდნენ და ჩემპიონის ტიტულს მოელოდნენ 81 კილოგრამში მოასპარეზე ნიკა მოველიძისგან. ფაქტიურად თავიდან იგი ამ წონაში ლიდერიც იყო, მაგრამ, მხარის დაზიანების გამო საბოლოოდ მხოლოდ ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ჩვენი ფალავნები შეყვანილი იქნებიან საქართველოს ნაკრებში და გაიკვლიან მზადებას საქართველოს მომავალი პირველობისათვის.

პირველობას, რომელიც ორგანიზებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სპორტის სამსახურის მიერ, ესწრებოდნენ საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ქ-ნი თინა ხიდაშელი, რაიონის გამგებელი ბ-ნი გიორგი ლოლაძე, საგარეჯოს ვეტერანი და მოქმედი ფალავნები.

*გ. დაბახიშვილი*

## ყურადღება

# ზამთარი წელიწადის ყველაზე ხანძარსაშიში დროა

ქალაში შედის ზამთარი, რომელიც წელიწადის ყველაზე ხანძარსაშიში დროა, ეს განპირობებული არის გამთბობი ხელსაწყოების და ელექტროღუმელების მასობრივი გამოყენებით. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოწესრიგდეს გათბობის სისტემები. იქ, სადაც სარგებლობენ ბუხრით ან დროებითი თუნუქის ღუმლებით, საჭიროა საკვამლე მილების შემოწმება ვარგისიანობაში. უნდა გაიწმინდოს ჭვარტლისაგან, ღუმელები უნდა დაიდგას უწვავ სადგამზე. „ელექტრო დანადგარების მოწყობის წესების“ თანახმად, ტექნიკურად სწორად უნდა გაიმართოს სახალხო მეურნეობის ობიექტების ელექტრომეურნეობა. კიბის უჯრედები და ლოჯიები არ უნდა ჩავხერგოთ დაჭრილი შეშით და სხვადასხვა სამეურნეო საქონლით. არის შემთხვევები, როდესაც საცხოვრებელ ბინასთან ახლოს და თვით შენობებშიც ინახავენ დაქაჩულ თივას, რაც ყოვლად დაუშვებელია. ზამთარი მკაცრ მოთხოვნებს უყენებს მეცხოველეობის ფერმებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებს. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭიროა გაისინჯოს და პასპორტიზაცია ჩაუტარდეს ყველა სითბოს წარმომშობ მოწყობილობას. რაიონში თითქმის ყველა წარმოება-დაწესებულება, საბავშვო ბაღები, სკოლები, კულტურული დაწესებულებები ხანძრის ქრობის პირველადი დახმარების საშუალებების გარეშეა დატოვებული, თუ არის, ისიც მოძველებული და მწყობრიდან გამოსული. მართალია, ცეცხლმაქრი სახანძრო დაცვის ფუნქციებს ვერ იკისრებს, ის არის პირველადი დახმარება.

გავითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული, ვიყოთ ფრთხილად, ნუ მივატოვებთ ანთებულ ღუმელებს უმეთვალყურეოდ, ნუ მივანდობთ მათ ექსპლუატაციას ბავშვებს, ღუმელები დავდგათ უწვავ სადგამზე და დავიცვათ ის ელემენტარული სახანძრო უსაფრთხოების წესები, რომელთა უგულებელყოფაც უბედურების საწინდარია.

*ზაქარია ოტიაშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვის და სამაშველო სამსახურის უფროსი.***

# ხსოვნა სიკვდილზე ძლიერია

## ლაზარე ცხვარიაშვილი

4 დეკემბერს ორი წელი შეგისრულდებოდა ჩემო პატარავ, მაგრამ, ასე არ მოხდა.

ფერისცვალების დღეს დაგვიტოვე გულში უკურნებელი ტკივილი, რომელიც არ გვასვენებს. ყოველ წუთში მომენატრები, მოვრბივარ შენს საფლავზე. მგონია უნდა განახო, გულში ჩაგიკრა, მაგრამ რა... საფლავზე მხვდება შენი სათამაშოები და თითქოს ისინიც უშენოდ უტყვად და მოწყენილად შემომცქერიან – ნუგეშის ნაცვლად. ავტირდები მწარედ, იქნებ რამე შევიგრძნო. გეძახი ლაზარე... ლაზარე... იქნებ ხმა გამაგონო, მაგრამ ამაოდ. ისევ მარტოსულობა მისადგურებს.

ყოველი ძილის წინ შენზე სიზმარს ვნატრულობ (ამიტომ ხან დღისითაც ვიძინებ), მაგრამ იშვიათად განახულობ, როგორ გამორბიხარ ხელგაშლილი ჩემსკენ „დედას“ ძახილით, რომელიც შენს სიცოცხლეშიც ძალიან მენატრებოდა. ვაი, როგორ არ მინდა მაგ დროს მალე გამეღვიძოს. დედა ხომ ძალიან, ძალიან გიყვარდა, რატომ დამტოვე ჩემო სიცოცხლე?

ენატრები დეიდას, ბებოს, პაპას, ბიძას და ყველას. ჩვენ ხომ შენთან ერთად ბევრი ვიბრძოლეთ შენი სიცოცხლისათვის, მაგრამ ვერ გიშველეთ. და ყველას გული დაგვწყვიტე.

ვთხოვ უფალს ყოველთვის ნათელში ამყოფოს შენი უცოდველი სული. შენზე ფიქრმა და სიმწარემ აი, რა დამაწერინა, შვილო:

შენ დაიბადე, ჩემო პატარა
ღვთისმშობლის ტაძრად
მიყვანების დღეს,
ფერი იცვალე ფერისცვალებას, ჯვართამაღლებას გაფრინდი ზეცად
და უფლის სახლში ხარ ანგელოზად.
უცოდველი ხარ ჩემო პატარა,
და ამიტომაც გირჩია ღმერთმა.
შენი პატარა უმწიკვლო სული
ღმერთმა ნათელში მიმყოფოს მუდამ.
როგორ მიყვარხარ ჩემო პატარავ,
უშენოდ ნეტა რა მეშველება.
შენით ვსუნთქავდი და
ვსულდგმულობდი
შენით ვცოცხლობდი მხოლოდ.
შენი ბდღვრიალა დიდი თვალები
და გამოხედვა მათი,
შენი პატარა ბოცოცა ხელი,
შენი ლამაზი თავი,
პრიალა კანი და ნაზი სახე
სულ თვალწინ მიდგას მარად.
გულში დატოვე დიდი ტკივილი
ჩემო პატარა „ბუბუ“
ამ გულს ვერავინ ვერ გაამართლებს
ჩაკვდა, გაიპო მარად.
უფალო, შენ გთხოვ, რომ ჩემი „ბუბუ“
ზეცად მიმყოლე კარგად.

***შენი გამწარებული დედა***
*ნათია ანუაშვილი*

## გურამ დავითელაშვილი

12 დეკემბერს 30 წელი შეგისრულდებოდა, შვილო. დიახ შეგისრულდებოდა. 30 წლის წინ უბედნიერეს დედათა შორის ვიყავი, რადგან მყავდა ნათია წლისა და სამი თვის და შენ, ჩემო დიდო სიხარულო და დიდო ტკივილო, რამხელა იმედები, ბედნიერებით გაცისკროვნებული ოცნებები გვქონდა მეც და მამაშენსაც, გვარის გამგრძელებელი, უდროოდ გარდაცვლილი პაპის მოსახელე მოგვივლინა უფალმა შენი სახით ორივეს, მაგრამ სულ 21 წელიწადი გიღიმოდა და გათბობდა მზე, შვილო. დაგნათოდა მშობლების სიყვარული და ქომაგად გედგა შენი ერთადერთი საფიცარი და ნათია. სიხარულის განცდაც უზომოდ, გულიანად იცოდი და ტკივილსაც გულის სიღრმემდე მწარედ განიცდიდი, ჩემო გურამ! რატომ იყავი ასეთად დაბადებული, შვილო! რატომ ჩქარობდი ყველაფერს – მოგესწრო, დაგეჯაბნა დრო, როგორმე მოგესწრო ყველაფერი, ღამეც დღედ გექცია. დედამიწის და ცის შეერთებას უფრო მოვიფიქრებდით, შვილო, ვიდრე შენი ნატერფალის წაშლას ამ ქვეყნიდან, შენი სუნთქვის შეჩერებას და შენს გაყინულ გულზე ჩემი მდუღარე ცრემლების დაყრას, როგორ, რანაირად მოგისურვილო, ჩემო მონატრებავ, როგორ დაგიამო ატკივებული სული? შენ ხომ უზომოდ გიყვარდა სიცოცხლე. ჩვენ ხომ უერთმანეთოდ ტკივილს ვერ ვიამებდით, შვილო. ამბობენ, ყვავილები მიწის ღიმილიაო, შვილო. იქნებ გაზაფხულზე მიწიდან ამოსულმა ყვავილებმა შენი ღიმილიც და მოკითხვაც შემომცინონ და შემომაფეთონ, შვილო. შენ კი ჩემმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათონ სასუფეველი, ჩემმა ცრემლებმა გაგითბონ სამუდამო სამყოფელი.



დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო დაუამებელო ტკივილო და აუხდენელო მონატრებავ. ნათელში გამყოფოს უფალმა.

როცა მოვკვდები
და ჩემს სხეულს
ცივ სამარეში ჩაასვენებენ,
სული ხომ წავა?
სადაც ოდითგან
მარადიული სულები დგანან,
ნეტა ვიცოდე,
ანგელოზები შემაჩერებენ?
თუ უფლისაკენ
გამიძღვებიან გალობით თავად.

*ზინკა ჩიტაური*
***დედა***

# ამერიკის ელჩი საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის გახსნაზე

უკვე ორი თვეა საგარეჯოში ფუნქციონირებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და ამერიკელი ხალხის დაფინანსებით დაფუძნებული დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, რომლის მიზნებისა და დანიშნულების შესახებ გაზეთმა უკვე მიაწოდა სათანადო ინფორმაცია მკითხველს. აღნიშნული ცენტრის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში დემოკრატიზმის საფუძვლების ჩამოყალიბება და ქვეყნის მართვა-გამგეობაში მოსახლეობის დემოკრატიული ჩართულობის გაძლიერება. ცენტრმა ფუნქციონირება მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში დაიწყო და ქვეყნის სხვა ანალოგიურ ცენტრებთან ერთად გარკვეული როლი ითამაშა საქართველოში და მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში არჩევნების მშვიდ და დემოკრატიულ ვითარებაში ჩატარების საქმეში. მას შემდგომ სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები და პროექტებიც განხორციელდა, თუმცა ოფიციალურად ცენტრი გახსნილი არ ყოფილა. 5 დეკემბერს კი ეს დღეც დადგა. დღის 15 საათისათვის ცენტრის გასახსნელად საგარეჯოში ჩამობრძანდა ***ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში*** ბ-ნი **რიჩარდ ნორლანდი.** აქ ამერიკელ მაღალჩინოსანს მედიისა და საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებთან ერთად დახვდნენ კახეთის მხარის გუბერნატორი **ზურაბ ჯიაბერაშვილი**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი ლოლაძე,** მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ილია ჯიაურელი**, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი **შიოლაშვილი,** სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის უშუალო გახსნამდე რიჩარდ ნორლანდი გაესაუბრა შეკრებილ საზოგადოებას. საგარეჯოში ამ ცენტრის გახსნისათვის ამერიკის ელჩს საგარეჯოელთა სახელით მადლობა გადაუხადა **ალექსანდრე ნეკრესელმა.**

მოსახლეობასთან გასაუბრების შემდგომ, ამერიკის ელჩმა მოკლე სიტყვით მიმართა და დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, კახეთის გუბერნატორს, საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს ამ საზეიმო ღონისძიებაზე მობრძანებისათვის. როგორც მან აღნიშნა, საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრმა საქართველოს სხვა რეგიონების ანალოგიურ ცენტრთან ერთად მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა საქართველოს პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულ ვითარებაში ჩატარებისა და ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარების საქმეში. საგარეჯოს დემოკრატიული ცენტრები ეს არის ამერიკელი ხალხისა და მთავრობის საჩუქარი ქართველი ხალხისათვის, თავისუფალი სივრცე, სადაც მათ უშიშრად და დაუფარავად შეუძლიათ გამოიტანონ თავიანთი აზრები და შეხედულებები; ეს ცენტრები ხელს უწყობენ ქართველ ხალხს დემოკრატიზმის განვითარებისა და ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობის გაფართოების საქმეში. ეხმარება მათ თავიანთი შეხედულების მიხედვით აირჩიონ და განსაზღვრონ თავიანთი პოლიტიკური წყობა, ადგილი და როლი როგორც რეგიონში, ისე მთელს მსოფლიოში.

ამ მოკლე გამოსვლის შემდგომ, რიჩარდ ნორლანდმა კახეთის გუბერნატორის თანდასწრებით გაჭრა საზეიმო ლენტი და დაათვალიერა შენობის პირველ სართულზე განთავსებული საკონფერენციო დარბაზი.

ამის შემდგომ ამერიკის ელჩმა და დამსწრე საზოგადოებამ ცენტრის შეხვედრების დარბაზში გადაინაცვლეს. აქ რიჩარდ ნორლანდმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა კახეთის მხარისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, დამსწრე საზოგადოებას ცენტრში მობრძანებისათვის და განაცხადა, რომ დიდად მოხარულია აქ მათთან ერთად ყოფნით.

აშშ მთავრობამ ცენტრისათვის 5 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტირება მოახდინა საქართველოში. ცენტრები მოწოდებულია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მოქალაქეთა დემოკრატიული ჩართულობის წახალისებებს და გამჭვირვალეობის გაუმჯობესებას. საამისოდ ცენტრს ჰყავს პროფესიონალი თანამშრომლები. აქვს ბიბლიოთეკა და ინტერნეტი, რაც დაეხმარება ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯგუფებს შეუფერხებლად გადაჭრან მათთვის საჭირო საკითხები, მოაწყონ შეხვედრები, მოიწვიონ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და რაც მთავარია, უსასყიდლოდ გამოიყენონ სივრცე.

ამ გამოსვლის შემდეგ ამერიკის ელჩი შეეხო ისეთ აქტუალურ თემას, როგორიც ოჯახური და ქალებზე ძალადობაა. ეს საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის და შეადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ 16 დღიანი „გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის“ პროგრამის ნაწილს. ამ მხრივ საქართველოში არსებულ მდგომარეობასა და ქალთა ოჯახურ ძალადობაზე ისაუბრა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ბავშვისა და ქალის უფლებათა დაცვის ცენტრის წარმომადგენელმა **ანა არღანაშვილმა.** ნაჩვენები იქნა ამ თემაზე შექმნილი ფილმი.

ამავე საკითხთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე, მათ შესაძლო გამოსწორების გზებსა და ამოცანებზე ისაუბრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საერთაშორისო ფონდებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა **სოფიო ხარებავა-მანძულაშვილმა.**

დასასრულს, გენდერული ძალადობის საკითხებზე გაიმართა დისკუსია. გამოითქვა მოსაზრებები, გადაწყდა, რომ საჭიროა ამ საკითხთან დაკავშირებით მომავალშიც ჩატარდეს ისეთი ფართომასშტაბიანი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ პრობლემის გადაწყვეტასა და მოგვარებას.

*გივი დაბახიშვილი*

# სპორტულ-შემეცნებითი შეჯიბრი აზერბაიჯანელი მოსწავლეებისათვის

ისე, როგორც ქვეყნის სხვა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ჩვენი მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანულენოვან საჯარო სკოლებში უკვე მეორე წელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს პროექტს „ქართული ენა მომავალი წარმატებებისათვის“. პროექტში ჩართული ქართველი პედაგოგები აზერბაიჯანელი ეროვნების მოსწავლეების მიერ ქართული ენის სრულყოფილად დაუფლების მიზნით საგაკვეთილო მეცადინეობებთან ერთად, ატარებდნენ სხვადასხვა სახის შემეცნებით, ინტელექტუალურ და სხვა ღონისძიებებს. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება – სპორტულ-შემეცნებითი შეჯიბრება ნოემბრის II ნახევარში ჩატარდა დუზაგრამის საჯარო სკოლის სპორტულ მოედანზე. ამ შეჯიბრებაში, რომელიც ორგანიზებული იყო პროექტში მონაწილე ლამბალოს საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელ რუსუდან დუჩიძის, იორმუღანლოს საჯარო სკოლის პედაგოგის ხათუნა ჭეშურაშვილისა და ეთერ პატარკაციშვილის, დუზაგრამის საჯარო სკოლის პედაგოგ ლელა ჭინჭარაძის მიერ, მონაწილეობდნენ ამ სკოლის ნაკრები გუნდები (12 მოსწავლის შემადგენლობით).

ღონისძიებებში სხვადასხვა სპორტულ სახეობებში შეჯიბრებასთან ერთად, მონაწილეებს უნდა შეესრულებინათ ქართული ენის გრამატიკული სავარჯიშოები. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის ღონისძიებები მუდამ მოწონებით სარგებლობს აქაურ მოსწავლეებში და არც ამ შეჯიბრებას მოჰკლებია მონაწილეთა აზარტი და შემართება, ყველა გუნდის მონაწილე ერთნაირად იბრძოდა გამარჯვებულის სახელის მოსაპოვებლად. საბოლოოდ კი გამარჯვება იორმურანლოს საჯარო სკოლის გუნდმა (დირექტორი ისლამ გაიბოვი, გუნდის კაპიტანი ინთიკამ გუსეინოვი) იზეიმა, რომლის მონაწილეებმა დამსახურებულად იმარჯვეს ყველა სახეობაში. საბოლოო ჯამში კი გაიმარჯვა ახალგაზრდობამ, მეგობრობამ, ქართული ენის უკეთ დაუფლების სურვილმა და სიყვარულმა.

მეორე ადგილზე გავიდა ლამბალოს, მესამეზე კი დუზაგრამის საჯარო სკოლის გუნდი.

შეჯიბრებას სჯიდნენ აღნიშნული სკოლების ქართველი და აზერბაიჯანელი მასწავლებლები.

ღონისძიების დასასრულს შეჯიბრებაში გამარჯვებულ და მონაწილე გუნდების წევრებს გადაეცათ შესაბამისი პრიზები და სიგელები. კერძოდ, პირველ ადგილზე გასული გუნდი დაჯილდოვდა ბურთით, სიგელით და კედლის საათით. ასევე მათთვის მოეწყობა ექსკურსია კახეთის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად. რაც შეეხება მეორე-მესამე ადგილზე გასულ გუნდებს, – გადაეცათ კედლის საათები და სიგელები. ასევე შეჯიბრის მონაწილეებმა გადაიღეს სამახსოვრო სურათები. როგორც ჩვენთან საუბარში ღონისძიების ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ეს არ იყო ერთჯერადი აქცია და მსგავსი ღონისძიებები მომავალშიც ჩატარდება.

*გივი დაბახიშვილი*

# კონცერტი... დარბაზი... მაყურებელი

**დასასრული**

შეიყვანა თავისი ანსამბლის გულშემატკივარი (ამას სხვანაირად ვერაფერს დავარქმევ) და „მხარდამჭერთა“ მთელი გუნდი უადგილოდ შერჩეული ხმამაღალი შეძახილებით ფარავდა მუსიკის ხმას და საერთოდ, ყველანაირ სილამაზეს უკარგავდა სცენაზე შესრულებულ ყოველ ნომერს. უადგილო იყო ის ტრანსპარანტებიც, რომლებსაც მაყურებელს თითქოს თვალებში „გვაჩეჩებდნენ“ და „მეტი მხარდაჭერის“ მიზნით მთელი ნომრის შესრულებისას მაღლა, თავს ზემოთ მაყურებლისათვის ხელსშესაშლელად ეჭირათ.

– ეს არ იყო არც ოლიმპიადა, არც დათვალიერება, არც კონკურსი, არც შოუ, ეს იყო ფოლკლორული ანსამბლების საანგარიშო კონცერტი, რომელსაც თავისი მაყურებელი ჰყავს ყოველთვის და შესაბამისად, აქვს დარბაზის ქცევის წესებიც – აქ უნდა მოუსმინო, შეაფასო, შენი აღფრთოვანება და მოწონება ტაშით გამოხატო, ოღონდ შესაბამისი ეტიკეტის დაცვით, – მითხრა კონცერტის შემდეგ საგარეჯოს კულტურის სახლის მენეჯერმა თინათინ მეზვრიშვილმა, – ამიტომ, მინდა ბოდიში მოვუხადო იმ ფოლკლორულ ანსამბლებს, მათ ხელმძღვანელებს, რომელთა შემოქმედება მაყურებელთა მხრიდან მეტ სერიოზულობას და პატივისცემას მოითხოვდა.

ჩემის მხრიდან კი, როგორც ერთი რიგითი საგარეჯოელის და ჩვეულებრივი მაყურებლის მხრიდან დავამატებდი, რომ კარგია, თუ ოჯახი, სკოლა, საზოგადოება მომავალ თაობას საბოლოოდ ჩამოვუყალიბებთ მოსმენის , თეატრის შენობაში ქცევის კულტურას და გავარკვევთ მათ, რომ ფოლკლორული კოლექტივების საანგარიშო კონცერტი არც შოუა, არც „ჯეოსტარისა“ და „ახალი ხმის“ კონკურსი და არც სპორტული შეჯიბრი – სანახაობა...

*თინა ილაური*

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488
ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com